

სსიპ გარემოს ეროვნული  
სააგენტოს  
2024 წლის ანგარიში



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროცესების და გარემოს (ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის) ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგს; ამზადებს ამინდის და ჰიდროლოგიურ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პროგნოზებს; ამზადებს და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და მასთან დაკავშირებული გეოლოგიური მოვლენების შესახებ; ახორციელებს შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კვლევას, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ჰაერდაცვითი და წყალდაცვითი დოკუმენტაციის შეთანხმებას, ასევე, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

შინაარსი

გეოლოგიის დეპარტამენტი..... 4  
    მიწისქვეშა წყლები..... 7  
ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი..... 9  
გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი ..... 11  
    წყლის ხარისხის მონიტორინგი ..... 11  
    ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი..... 11  
მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი ..... 16  
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი ..... 20  
გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების დეპარტამენტი 21  
ლიცენზირების დეპარტამენტი..... 23  
სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება ..... 25  
ინფრასტრუქტურული პროექტები ..... 25  
    საერთაშორისო თანამშრომლობა..... 26  
    საგრანტო პროექტები ..... 26  
საჯარო ინფორმაცია..... 33

2024 წელს, სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზავი, ქვათაცვენა და სხვა) შეფასების მიზნით, საქართველოს ყველა მხარეში ორ ეტაპად (გაზაფხული-შემოდგომის ფორმატში) განხორციელდა ყოველწლიური გეგმური გეოლოგიური მონიტორინგი.




სურ. 1 - გეოლოგიური მონიტორინგი

მომზადდა და გამოიცა ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - „საქართველოში 2023 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2024 წლისთვის“. ბიულეტენში ასახულია გეოლოგიური მონიტორინგის და სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგად დამუშავებული გეოლოგიური საფრთხეების შესახებ ინფორმაცია. ბიულეტენს ახლავს გეოლოგიური საფრთხეების სპეციალიზებული რუკები საქართველოს ცალკეული მხარეებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე განხორციელდა გეგმური სავსე გეოლოგიური მონიტორინგული კვლევები, რომლის საფუძველზეც მზადდება ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი. მიმდინარეობდა ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა/კლდეზავი და სხვა) მონაცემთა GIS ბაზის და ზონირების რუკის განახლება. ამასთანავე, მოხდა რეაგირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ კორესპონდენციაზე და მომზადდა შესაბამისი ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები.

ქვეყნის სხვადასხვა მხარის მუნიციპალიტეტებიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე შედგენილი იქნა **1622** ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასებულია **2385** დასახლებულ პუნქტში მცხოვრები **4266** მოსახლის (კომლი)

საკარმიდამო მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა და გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.




სურ. 2- გეოლოგიური მონიტორინგი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ცხელი ხაზით“, მოქალაქეებისგან, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან და სხვა უწყებებისგან შემოვიდა **81** საინფორმაციო შეტყობინება. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტოს გეოლოგებმა, ფორს-მაჟორულ ვითარებაში, შეაფასეს სიტუაცია და უმეტეს შემთხვევაში ადგილზე დასახეს გადაუდებელი პალიატიური ღონისძიებები, ხოლო შემდეგ სათანადო დასკვნები გაეგზავნა შესაბამის ორგანოებს.

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ მხარდაჭერილი პროექტის „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში მომზადდა მდ. მტკვრის აუზის გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი) ზონირების რუკა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ვალიდაციის პროცესი.

განხორციელდა გარემოზე შეფასების ანგარიშების, საინჟინრო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის და გარემოსდაცვით სფეროში, კანონმდებლობის საფუძველზე, მომზადებული სხვადასხვა დოკუმენტების გეოლოგიური ნაწილის რეცენზირება, რის საფუძველზეც შენიშვნების და საექსპერტო დასკვნების სახით შედგენილი იქნა 267 დოკუმენტი.



სურ. 3. გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოები

2024 წელს გამოიცა ფოთი-ქუთაისის ნომენკლატურული ფურცლების (K-37-XVIII და K-38-XIII) 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიური რუკები და ანგარიში. ასევე, განხორციელდა საველე კვლევები სვანეთის ნომენკლატურული ფურცლის (K-38-VII) 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენის და გამოცემის მიზნით.




სურ. 4. სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა (გეოლოგიური აგეგმვა)

2024 წელს გაფორმდა ხელშეკრულება 11 მეწყერულ უბანზე თანამდეროვე მონიტორინგული სისტემების აღჭურვილობის შესყიდვა/დამონტაჟებისთვის. ქვეყნის მასშტაბით შეირჩა განთავსების ლოკაციები და 2025 წელს დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.

### მიწისქვეშა წყლები

2024 წელს ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის ქსელის 72 წყალპუნქტიდან აღებული იქნა 394 სინჯი ლაბორატორიული ანალიზებისთვის (142 - ქიმიური, 137 - მიკრობიოლოგიური, 100 - მძიმე მეტალების და 15 - ნავთობპროდუქტების ანალიზისთვის). ასევე, მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი.



სურ. 5. ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის ქსელი

მხარე	ქიმია	მიკრობი- ოლოგია	მძიმე მეტალები	ნავთობ- პროდუქტები	სულ 2024 წელს ცალკეულ მხარეში
აჭარა	11	11	11	-	33
გურია	7	7	7	2	23
იმერეთი	6	6	6	4	22

მხარე	ქიმია	მიკრობი- ოლოგია	მძიმე მეტალები	ნავთობ- პროდუქტები	სულ 2024 წელს ცალკეულ მხარეში
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9	9	9	9	36
შიდა ქართლი	4	4	4	-	12
ქვემო ქართლი	6	6	6	-	18
მცხეთა-მთიანეთი	20	20	16	-	56
კახეთი	79	74	41	-	194
<b>სულ 2024 წელს:</b>	<b>142</b>	<b>137</b>	<b>100</b>	<b>15</b>	<b>394</b>

ცხრილი 1. 2024 წელს, ჭაბურღილებიდან და წყაროებიდან აღებული სინჯების რაოდენობა მხარეების მიხედვით

ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი მიწისქვეშა წყლების იდენტიფიცირების მიზნით, პირველადი სავლე კვლევები განხორციელდა 42 წყალპუნქტზე.

მომზადდა საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოში მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“.

მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელის გაუმჯობესების მიზნით, მოეწყო 2 ახალი ავტომატური სადგური.



სურ. 6. მონიტორინგის ქსელის ავტომატური სადგური

საერთაშორისო პროექტის - „ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები“ (EU4Environment - Water Resources and Environmental Data) - ფარგლებში, განხორციელდა წყლის სინჯების აღება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე ტრანსსასაზღვრო კვლევისთვის.



„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის - „მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის მოპოვების მიზნით ჭაბურღილების აღრიცხვის წესი“ - საბოლოო ვერსია.

## ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი

2024 წლის განმავლობაში, რეგულარულად, დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები 255 ერთეულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე. ხორციელდებოდა დაკვირვების მონაცემთა ხარისხის კონტროლი, დამუშავება და ბაზებში განთავსება. 23 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები ყოველდღიურად ვრცელდებოდა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) გლობალურ ქსელში. დღე-ღამურ რეჟიმში ხორციელდებოდა აგრეთვე დაკვირვებები ქუთაისის და კიკეთის მეტეოროლოგიურ რადარებზე.

ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰელსინკიში, გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ფინეთის მეტეოროლოგიურ ინსტიტუტს შორის მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და გარემოს სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში დაინერგება ახალ თანამედროვე სისტემა ამინდის პროგნოზირებისთვის, რაც გაზრდის შედეგების სიზუსტეს და ხელს შეუწყობს ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებას.



სურ. 7- მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონია

გაიმართა ფოთის აეროლოგიური სადგური, რომელიც ატმოსფეროს ზედა ფენებში მეტეოროლოგიურ პარამეტრებს ზომავს. აღნიშნული სადგური ინტეგრირებულია სააგენტოში არსებულ დაკვირვების



სურ. 8

სისტემებთან და თანამედროვე საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და საპროგრამული (ICT) სისტემასთან, რომლის დანერგვაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს.

განხორციელდა არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურ-საგუშაგოების ტექნიკური დათვალიერება და აღმოფხვრილ იქნა გამოვლენილი ხარვეზები; უცხოელ ექსპერტთან ერთად განხორციელდა ქუთაისის და კიკეთის რადარების ტექნიკური მომსახურება და კალიბრაცია. ამ მიმართულებით სწავლება გაიარეს ადგილობრივმა სპეციალისტებმა.

ყოველდღიურად მზადდებოდა და ვრცელდებოდა ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზები. მომზადდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდა გაფრთხილებები საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. საანგარიშო პერიოდში გაიცა 153 გაფრთხილება, მათ შორის 35 სპეციალიზებული გაფრთხილება საქართველოს სამხედრო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე მოსალოდნელი თოვლის ზვავების შესახებ.

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ მხარდაჭერილი პროექტის „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში შემუშავდა წყალდიდობის საფრთხეების რუკები მდ. მტკვრის, მდ. ალაზნის, მდ. ივრის და მდ. ხრამი-ქციას აუზებისათვის, და დაიწყო მათი ვალიდაციის პროცესი.

2024 წელს გაციფრულდა ქაღალდის მატარებელზე არსებული ისტორიული მეტეოროლოგიური მონაცემების 221 და მიმდინარე მონაცემების 33 სადგურ-წელი.

მდინარეებზე არსებულ ავტომატურ და მანუალურ ჰიდროლოგიურ საგუშაგოებზე ყოველდღიურად იზომებოდა წყლის დონეები. პორტატიული გამზომი ხელსაწყოების (ჰიდრომეტრული ტრიალები, აკუსტიკური დოპლერები) საშუალებით გაიზომა 1193 წყლის ხარჯი.

# გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი

## წყლის ხარისხის მონიტორინგი



სააგენტოს მიერ შედაპირული წყლის სინჯები აღებული იქნა საქართველოს მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების **237** წერტილში. 2024 წლის განმავლობაში აღებული იქნა **2168** სინჯი.

შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგი ხორციელდებოდა ყოველთვიურად სარფი-ანაკლიის სანაპირო ზოლზე მდებარე 12 სადგურზე.



სურ. 9 წყლის ხარისხის მონიტორინგი

## ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი

2024 წელს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს დაემატა 8 სტაციონალური (თბილისი, თელავი, რუსთავი, ქუთაისი, ახალციხე, ზუგდიდი, ბათუმი და მესტია) და 1 მობილური სადგური. მონიტორინგი წარმოებდა შვიდ ქალაქსა და ერთ დაბაში (ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. ზუგდიდი, ქ. ახალციხე, ქ. თელავი და დაბა მესტია) 15 ავტომატური და სამი მობილური სადგურის საშუალებით, ასევე ქ. ზესტაფონში მონიტორინგი წარმოებდა არა ავტომატურ სადამკვირვებლო პუნქტზე.




სურ. 10. მობილური სადგური

ავტომატურ სადგურებზე უწყვეტ რეჟიმში ისაზღვრებოდა სხვადასხვა დამაბინძურებლების კონცენტრაციები. გარდა ამისა, სადგურებზე განთავსებული გრავიმეტრული ხელსაწყოების საშუალებით ხდებოდა სინჯების აღება მათში მძიმე მეტალებისა და ბენზაპირენის შემცველობის განსაზღვრის მიზნით.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „საქართველოში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა“ ფარგლებში მომზადდა ტექნიკური ანგარიშები "ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ხარისხის უზრუნველყოფის/ხარისხის კონტროლის შესახებ" და "ეროვნული რეფერენსული ლაბორატორიის შესახებ".

ევროკავშირის პროექტის "ჰაერის ხარისხი მოქალაქის უკეთესი ჯანმრთელობისთვის" ("Air Quality for Better Citizen's Health") ფარგლებში მიმდინარეობდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 9 ახალი ავტომატური სადგურის და ერთი გრავიმეტრული ხელსაწყო განსათავსებელი ადგილების მოძიების სამუშაოები და შესაბამისი აზომვითი ნახაზების მომზადება.


# ინდიკატორული გაზომვები



ცხრილი 2 - ქალაქების რაოდენობა წლების მიხედვით


2024 წლის მარტში, ივნისში, სექტემბერსა და ნოემბერში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით, საქართველოს 30 ქალაქში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვები. სულ განთავსდა აზოტის დიოქსიდის 380, ოზონის 160 და ბენზოლის 84 მილაკი.

## ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი



სურ. 11 - მონიტორინგის ქსელი

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ მონაცემები ავტომატური სადგურებიდან უწყვეტ რეჟიმში აისახებოდა პორტალზე [air.gov.ge](http://air.gov.ge) მიმდინარეობდა აღნიშნული პორტალის შეუფერხებლად მუშაობის სისტემატური კონტროლი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.




მძიმე მეტალების შემცველობის განსაზღვრის მიზნით ნიადაგის სინჯები აღებული იქნა 64 დასახლებულ პუნქტში



სურ. 12-13 ნიადაგის ხარისხის მონიტორინგი

2024 წელს, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სიის (ტყვიაზე კვლევის პროგრამის ფარგლებში ბავშვების სისხლში გამოვლენილი ტყვიის 10 მკგ/დლ და მეტი შემცველობის მქონე



ბენეფიციართა სია) საფუძველზე ვიზიტი განხორციელდა 65 ბენეფიციართან. აღებული იქნა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის სინჯები მათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით.



სურ. 14-15 - ტყვიის მონიტორინგი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 30-ზე მეტი მომართვის საფუძველზე კომპეტენციის ფარგლებში, შესრულდა საველე და ლაბორატორიული სამუშაოები.

2024 წლის განმავლობაში, ქ. თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე აღებული იქნა ატმოსფერული ჰაერის 48 სინჯი, მასში აზბესტის შემცველობის განსაზღვრის მიზნით. კვლევის შედეგად სინჯებში აზბესტის ბოჭკოები არ აღმოჩნდა.



სურ. 16-18 - აზბესტის მონიტორინგი

2024 წელს, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიოლოგიური რესურსების შეფასების მიზნით, მოეწყო 9 საზღვაო ექსპედიცია. შეგროვდა ბიოლოგიური მონაცემები შავი ზღვის პრიორიტეტულ სახეობაზე: ქაფშია, სტავრიდა, ხონთქარა, მერლანგი.



სურ.19 ზღვის ბიოლოგიური რესურსების კვლევის პროცესი საზღვაო ექსპედიციაში.


ფსკერული სახეობების კვლევა ჩატარდა გაზაფხულსა და შემოდგომაზე გონიო-ფოთის აკვატორიაში, სტანდარტული დემერსალური ტრალის გამოყენებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საკვლევი ტერიტორია დაიყო სხვადასხვა ფენებად სიღრმისა და ჰაბიტატის ტიპის მიხედვით; გამოვლინდა ყველა დაჭერილი თევზის სახეობა; ნიმუშების სახით შეგროვდა მხოლოდ სამიზნე სახეობები (სტავრიდა, ხონთქარა და მერლანგი), სხვა დანარჩენი სახეობები, მორფომეტრიული პარამეტრების აღების შემდეგ, გაშვებული იქნა საბინადრო გარემოში. ლაბორატორიაში ჩატარდა თევზის ნიმუშების დეტალური ბიოლოგიური ანალიზი. გაიზომა შემდეგი პარამეტრები: სიგრძე, წონა, სქესი, სქესობრივი სიმწიფე, ასაკი.






სურ. 20 ლაბორატორიული კვლევები გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტში.

ზამთრის სარეწაო სეზონზე ბათუმი-ანაკლიის აკვატორიაში განხორციელდა ძირითადი სარეწაო რესურსის, შავი ზღვის ქაფშიას გუნდების ჰიდროაკუსტიკური გადაღება პორტატული სამეცნიერო ექოსაუნდერის BioSonics-ის გამოყენებით. ჰიდროაკუსტიკური გადაღების შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა ლიცენზირებული პროგრამა EchoView-ს საშუალებით. სარეწაო თევზების



სურ. 21 ჰიდროაკუსტიკური გადაღების ტრანსექტები და ქაფშიას სიღრმისეული განაწილების ექოგრამა.

მარაგების შეფასების მიზნით მომზადდა მათემატიკური მოდელი ზრდა-ასაკობრივი მონაცემების სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე.



2023-2024 წწ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერისა და ჰიდროაკუსტიკური გადაღებების შედეგებზე დაყრდნობით, მათემატიკური მოდელირებით მომზადებული დასკვნების და ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა ანგარიში საქართველოს საზღვაო სივრცეში ძირითადი სარეწაო თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების მარაგების მიმდინარე მდგომარეობისა და აღნიშნული რესურსების ექსპლუატაციის დასაშვები დონის (კვოტების) პროგნოზირების შესახებ - „შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს 2024-2025 წწ სარეწაო სეზონის სამრეწველო თევზჭერის კვლევები“.

აღნიშნული სარეწაო სეზონისთვის ჭერილის დასაშვები ოდენობა განისაზღვრა შვიდ სარეწაო ობიექტზე (ქაფშია, სტავრიდა, ხონთქარა, მერლანგი, პელამიდა, კამბალა და რაპანა), მათ შორის ძირითადი სარეწაო რესურსის - შავი ზღვის ქაფშიას მოსაპოვებელმა კვოტამ შეადგინა 65000 ტონა.

GFCM-ის მიერ შერჩეულ პრიორიტეტულ სახეობებზე (ქაფშია, სტავრიდა, ხონთქარა, მერლანგი, რაპანა) მომზადდა მონაცემები GFCM-ის შაბლონების მიხედვით.

2024 წლის სექტემბერში, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და გარემოს კომპლექსური ეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სარფი-ანაკლიის საზღვაო აკვატორიაში მოეწყო საზღვაო ექსპედიცია. მონიტორინგის სადგურების შერჩევა განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტების „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუსი“ (EUWI+) და „ევროკავშირი გარემოსათვის - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები (EU4WD)“ რეკომენდაციების საფუძველზე, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მოთხოვნების შესაბამისად. სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს სარფი-ანაკლიის აკვატორიაში სულ 10 წყლის ობიექტი და 14 მონიტორინგის სადგური იქნა შერჩეული. 2024 წლის სექტემბერში ორგანიზებული ექსპედიციის (4 დღიანი) დროს აღნიშნულ სადგურებზე აღებულია 100-ზე მეტი წყლისა და გრუნტის ბიოლოგიური ნიმუში.

გარდა აღნიშნულისა, დეპარტამენტი ახორციელებდა სეზონურ ჰიდრობიოლოგიურ და მიკრობიოლოგიურ მონიტორინგს დაკვირვების 12 სადგურზე, რომლებიც განლაგებულია სანაპირო ზოლში სარფიდან-ანაკლიამდე.

სეზონური კვლევები ასევე მიმდინარეობდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს სარფის, მწვანე კონცხის და ციხისძირის ქვა-კლდოვანი ჰაბიტატების შესწავლის მიზნით. აღნიშნული ჰაბიტატები დასახლებულია დაბინძურებისადმი მგრძობიარე სახეობებით, მათ შორის არის წაბლა წყალმცენარე ცისტოზირა (*Gongolaria barbata*), რომელიც წარმოადგენს გარემოს კარგი ეკოლოგიური ხარისხის მაჩვენებელ ინდიკატორს შავ ზღვაში.



სურ. 22 ქვა კლდოვანი ჰაბიტატების კვლევა

აღებული ნიმუშების ანალიზი მიმდინარეობს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის ლაბორატორიებში. შეისწავლება წყლის პლანქტონური და ფსკერული თანასახოგადობის მრავალფეროვნება, განისაზღვრება ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, მაკროფიტების, მაკროზოობენტოსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.



სურ. 23. კვლევის პროცესი ჰიდრობიოლოგიურ ლაბორატორიაში.

მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდება 2024 წლის შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიომრავალფეროვნების ანგარიში.

2023 წელს განხორციელებული ბიოლოგიური მონიტორინგის საფუძველზე მომზადდა ანგარიში „შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიომრავალფეროვნება“, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ჩვენს სანაპირო წყლებში გავრცელებული მიკრო და მაკროწყალმცენარეების, ზოოპლანქტონისა და მაკროზოობენტოსის შესახებ. სულ იდენტიფიცირებულია ფიტოპლანქტონის 70-ზე მეტი სახეობა, 25-მდე ზოოპლანქტონის, 74 მაკროზოობენტოსის და 24 მაკროფიტის სახეობა. ანგარიშში ასევე აღწერილია ჩვენს სანაპირო წყლებში გამოვლენილი უცხო/ინვაზიური სახეობების შესახებ ინფორმაცია. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე 2023 წელს სულ 13 უცხო/ინვაზიური სახეობა არის იდენტიფიცირებული, მათ შორის ფიტოპლანქტონის 5 სახეობა (*Scripsiella trochoidea*, *Pseudosolenia calcar-avis*, *Leptocylindrus danicus*, *Gymnodinium fuscum* და *Gyrodinium sp.*), ზოოპლანქტონის 4 (*Acartia tonsa*, *Oithona davisae*, *Beroe ovata*, *Mnemiopsis leidyi*) და ფსკერული უხერხემლოების – 4 სახეობა (*Sigambra tentaculata*, *Rapana venosa*, *Anadara kagoshimensis*, *Amphibalanus improvisus*).

## გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტებისთვის და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობებისთვის, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა (სგშ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურების განხორციელებას, ასევე „სამრეწველო ემისიების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივასთან ჰარმონიზებას, ინტეგრირებული სანებართვო სისტემის დანერგვასა და ჰაერდაცვითი და წყალდაცვითი დოკუმენტაციის შეთანხმებას.

2024 წელს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები:

- 4 სგშ სკრინინგის გადაწყვეტილება
- 11 სგშ სკოპინგის დასკვნა
- 5 სგშ რეკომენდაცია
- 156 გზშ სკრინინგის გადაწყვეტილება
- 74 გზშ სკოპინგის დასკვნა
- 55 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „საქართველოში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა აგრო-ინდუსტრიული ხუთი სექტორის ოთხ ობიექტში - წვის დიდი საწარმოს, ნარჩენების ინსინერაცია/თანაინსინერაციის,

მეფრინველეობის ფერმის, ცემენტის და კირის, საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან (BAT) შესაბამისობის შეფასება.

პროექტის „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) ფარგლებში, 2024 წელს მომზადდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელო საქართველოს სივრცის დაგეგმარების სექტორისთვის. სახელმძღვანელოს მიზნებია: საქართველოს სივრცის დაგეგმარების სექტორში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურის ეფექტიანი განხორციელება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად; მდგრადი სივრცითი განვითარების ხელშეწყობა; გარემოს დაცვის პრინციპების და მიდგომების ადრეული და ეფექტური ინტეგრაციის უზრუნველყოფა სივრცით სტრატეგიულ დოკუმენტებში. აღნიშნული სახელმძღვანელო დაეხმარება დამგეგმავ ორგანოებს და საკონსულტაციო კომპანიებს დოკუმენტაციის მომზადებაში, ხოლო სააგენტოს - გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების დეპარტამენტი

2024 წელს, დეპარტამენტში მიმდინარეობდა 22 საქმის ადმინისტრაციული წარმოება, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით. მათ შორის:

- ❖ მიწისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (დეგრადაცია) 7 შემთხვევა
- ❖ წყლისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (დაბინძურება) 15 შემთხვევა
- ❖ ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (ტყის განადგურება) 2 შემთხვევა (მიწის ზიანთან ერთად)

განხილული იქნა ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში დაზიანებული მიწების (საერთო ჯამში, სახელმწიფო ტყის 21.5 ჰა მიწა) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის 3 პროექტი და ზედაპირული წყლის ობიექტების (მდ. მაშავერა, მდ. კაზრეთულა, მდ. ფოლადაური) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის 2 პროექტი. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში, გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმების პროექტების განხილვის მიზნით, შეიქმნა შესაბამისი საექსპერტო კომისიები, დაზიანებულ ტერიტორიებზე განხორციელდა სავლე გასვლები, ადგილზე მოხდა არსებული მდგომარეობის შესწავლა, გამოკვლევა, მონაცემების შეგროვება, გეგმების პროექტებით გათვალისწინებული გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობის შეფასება და ა.შ. საქმისწარმოების მასალების შესწავლის, მიღებული საექსპერტო დასკვნებისა და სავლე გასვლებისას მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგად, გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმების პროექტებთან დაკავშირებით მომზადდა შენიშვნები/წინადადებები, რომლებიც წარედგინათ გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირებს.

ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების

განსახორციელებლად საჭირო ტერიტორიების შერჩევისთვის მოძიებული იქნა სავარაუდო აღსადგენი ტერიტორიები (30 მიწის ნაკვეთი (დაახლოებით 180 ჰა)). ამასთან, განხორციელდა საველე გასვლები და ადგილზე მოხდა აღნიშნული ტერიტორიების იდენტიფიცირება, შეფასება, ნიადაგის სინჯების აღება, მათი ლაბორატორიული ანალიზი და მიღებული მონაცემების შესწავლის საფუძველზე შერჩეული იქნა აღსადგენი ტერიტორიების ვარიანტები.



სურ. 24 აღსადგენად შერჩეული სანაცვლო ტერიტორიები

განხილული იქნა გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (ჭიათურის მუნიციპალიტეტში: სახელმწიფო ტყის 0.28 ჰა მიწის დეგრადაცია (1 შემთხვევა); ბორჯომის მუნიციპალიტეტში: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1.86 ჰა მიწის დეგრადაცია, სახელმწიფო ტყის 4.8 ჰა მიწის დეგრადაცია, 6.25 ჰა სახელმწიფო ტყის განადგურება (1 შემთხვევა); ონის მუნიციპალიტეტში: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1.2 ჰა მიწის დეგრადაცია, სახელმწიფო ტყის 0.3 ჰა მიწის დეგრადაცია და სახელმწიფო ტყის 4.13 ჰა ფართობის განადგურება (1 შემთხვევა); ჭიათურის, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში: ზედაპირული წყლის ობიექტების (მდ. ყვირილა, მდ. წყალწითელა) დაზინძურება (4 შემთხვევა)) პირვანდელ მდგომარეობაში და პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის საკითხები, მომზადდა შესაბამისი დასკვნები და წარედგინათ გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირებს.

განხილული იქნა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (მდინარეების დაზინძურება) 9 შემთხვევა. ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების გასატარებლად, მდ. ყვირილას, მდ. ნეკრისას, მდ. რგანისდელეს, მდ. ბაგარისწყალისა და მდ. ჯრუჭულას ხეობებში მოძიებული იქნა სავარაუდო დაზიანებული ტერიტორიები. საველე გასვლების ფარგლებში, ადგილზე მოხდა აღნიშნული ტერიტორიების იდენტიფიცირება, შესწავლა, შეფასება და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე შესაბამისი აღსადგენი ტერიტორიებისა და გამოსასწორებელი ღონისძიებების ალტერნატივების შერჩევა.



სურ. 25. აღსადგენად შერჩეული სანაცვლო ტერიტორიები

## ლიცენზირების დეპარტამენტი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავდა და მთავრობას წარედგინა განკარგულების პროექტი - „საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონების მართვის გეგმები“, როგორც თევზის ასევე მოლუსკების ზონებისთვის. მისი გამოცემის შემდეგ განხორციელდება აუქციონის ორგანიზება, აუქციონის გამოცხადება და პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში აკვაკულტურის ნებართვის გაცემა.



სურ. 26. აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონები

### 2024 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ლიცენზირების კუთხით კანონმდებლობის დახვეწა:

- მომზადებულია „აკვაკულტურის შესახებ“ კანონში ცვლილებების შესახებ კანონპროექტი და შესაბამის კანონქვემდებარე აქტში ცვლილება. „აკვაკულტურის შესახებ“ კანონში ცვლილებები წარედგინება სამინისტროს შემდგომი მსვლელობის უზრუნველსაყოფად.
- საქართველოს მთავრობის 2024 წლის N205 დადგენილებით ცვლილება შევიდა „აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის N232 დადგენილებაში.
- საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 მაისის N175 დადგენილებით ცვლილება შევიდა „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებაში.

### გაცემული აკვაკულტურის ნებართვები

- 2024 წელს გაიცა 62 აკვაკულტურის ნებართვა; სანებართვო მოსაკრებლის თანხამ შეადგინა 14,200 ლარი.

## **დამტკიცებული კვოტები**

- შავ ზღვაში 2024-2025 წლებისთვის სამრეწველო თევზჭერის მიზნით დამტკიცდა ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტები 69 252 ტონა რესურსის ამოღების მიზნით.
- საქართველოს შიდა წყალსატევებში გაცემული თევზჭერის ლიცენზიანტებისთვის დამტკიცდა თევზჭერის კვოტები.

## **სოჭის გირჩის თესლმსხმოიარობის კვლევები 2024 წლის კვოტების დადგენის მიზნით:**

- მომზადდა საველე კვლევების პროცესი, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნა საველე კვლევების ჩატარება დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით.
- 2024 წელს განხორციელდა კვლევები, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიისა და სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო ტყის ტერიტორიებზე სოჭის გირჩის თესლმსხმოიარობის დადგენის მიზნით.
- დამტკიცდა სოჭის გირჩის სარგებლობის კვოტა 237 ტონა სოჭის გირჩის რესურსის მოპოვებაზე.

## **ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩის, თეთრყვავილას ბოლქვებისა და ყოჩივარდას გორგილების მოპოვებაზე აუქციონების გამოცხადება და ლიცენზიების გაცემა:**

- გაიცა ექსპორტის მიზნით თეთრყვავილას ბოლქვების სარგებლობის ერთი ლიცენზია 25 მილიონ ერთეულ თეთრყვავილას ბოლქვზე ბიუჯეტში გადახდილი იქნა 44,000 ლარი.
- გაიცა ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ერთი ლიცენზია 5 ტონა გირჩის მოპოვების უფლებით 5 წლის ვადით; ლიცენზიის ღირებულებამ შეადგინა 30,169.4 ლარი.

## **სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია:**

- დამტკიცდა ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტები.
- 2024 წელს გაიცა ორი სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია; აუქციონით ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 397,275 ლარი. სულ 2024 წელს გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიების სალიცენზიო ფართობებმა შეადგინა 13827 ჰა.
- ერთ სამონადირეო მეურნეობის სპეციალურ ლიცენზიას გაუგრძელდა მოქმედების ვადა.
- სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიებისათვის განსაზღვრულმა საინვესტიციო ვალდებულებების თანხამ შეადგინა 5,936,450 ლარი.



# სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება

## ინფრასტრუქტურული პროექტები

2024 წელს ქალაქ ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისი გაიხსნა. შენობაში განთავსდა მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ბათუმის ლაბორატორია და აჭარის რეგიონული ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის, მიკრობიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური და იქთიოლოგიური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია ულტრათანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით და კვლევითი სფეროს სპეციფიკისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით.



სურ. 27. გარემოს ეროვნული სააგენტოს ბათუმის ოფისი

სააგენტოს მიერ 2024 წელს შესყიდული იქნა ქ. ქუთაისში ორ. აბაშიძის გამზირზე ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული ფუნქციის მქონე შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია. მშენებლობის დაწყება დაგეგმილია 2025 წელს.



სურ. 28. ქუთაისის ოფისის რენდერი

დასრულებული პროექტები:

„ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები“  
(EU4Environment – Water Resources and Environmental Data) (სააგენტო ჩართული იყო  
პროგრამის შემდეგ მიმართულებაში: შედეგი 1.4: წყლის მონიტორინგი).



Funded by  
the European Union

**დონორი:** ევროკავშირი

**ხანგრძლივობა:** იანვარი, 2022 წ. - ივნისი, 2024 წ.

**განმახორციელებელი:** ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონსორციუმში (ავსტრიის გარემოს სააგენტო (UBA), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), საფრანგეთის წყლის საერთაშორისო ოფისი (OiEau), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD))

პროგრამის საერთო მიზანი იყო გარემოსდაცვითი, კლიმატური და სოციო-ეკონომიკური მედეგობისა და ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა).

„გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ (შედეგი 6 - ჰაერის ხარისხის მონიტორინგის  
ქსელის გაუმჯობესება საქართველოში)



შვედეთი  
Sverige

**დონორი:** შვედეთის სამეფოს მთავრობა (წარმოდგენილი შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მიერ)

**ხანგრძლივობა:** 2021 წ. - 2025 წ. (კომპონენტის ხანგრძლივობა: იანვარი, 2022 წ. - მარტი, 2024 წ.)

**განმახორციელებელი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (პროექტის ცენტრალური განმახორციელებელი ერთეული (CPIU))

პროექტის მე-6 კომპონენტი (ყოფილი მე-9), რომელსაც ახორციელებდა გარემოს ეროვნული სააგენტო, ითვალისწინებდა:

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 1 მობილური სადგურისა და 8 ავტომატური სადგურის შექმნასა და დამონტაჟებას საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, თელავი, რუსთავი, ქუთაისი, ახალციხე, ზუგდიდი, ბათუმი და მესტია;

- მონიტორინგული პარამეტრების რაოდენობის გაზრდას - შემდეგი დამაბინძურებლების კონცენტრაციების მუდმივ მონიტორინგს: მყარი ნაწილაკები (PM<sub>2.5</sub> და PM<sub>10</sub>), აზოტის ოქსიდები (NO, NO<sub>x</sub>, NO<sub>2</sub>) და მეტეოროლოგიური პარამეტრები.
- სააგენტოს თანამშრომლების დატრენინგებას სადგურების ოპერირებასა და ტექნიკურ მომსახურებაში;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას: განხორციელებული საქმიანობები გაშუქდა სააგენტოს სოციალური მედიის საშუალებით. ასევე ჩატარდა სამუშაო სემინარები მუნიციპალიტეტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

**ტექნიკური დახმარება TA-6627 REG “ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება: კლიმატიური პრობლემების გადაწყვეტების შემუშავება 2030 წლის სტრატეგიის - „კლიმატის სტრატეგიის“ მე-3 ოპერატიული პრიორიტეტის მიხედვით / პოლიტიკის სპეციალისტი (გარემო, კლიმატის ცვლილება და კატასტროფების რისკი) „**



**დონორი:** აზიის განვითარების ბანკი (ADB)

**განმახორციელებელი:** ADB-ის მიერ დაქირავებული საერთაშორისო ექსპერტი დაწყების-დასრულების თარიღები: მაისი - ოქტომბერი, 2024 წ.

პროექტის მიზანი იყო გარემოს ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობა (ხედვის დოკუმენტის შემუშავება), რაც თავის მხრივ გულისხმობს სააგენტოსადმი დაკისრებული ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ეფექტიანობის გაზრდას.

**“საქართველო: გარემოსდაცვითი ნებართვების გაციფრულება - ტექნიკური შეფასება“**



**European Bank**  
for Reconstruction and Development

**დონორი:** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)


**განმახორციელებელი:** PMCG

**დაწყების-დასრულების თარიღები:** ივლისი - დეკემბერი 2024 წ.

პროექტის საერთო მიზანი იყო ტექნიკური შეფასების მომზადება გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების იდენტიფიცირებისთვის, ასევე ციფრული გადაწყვეტის შეთავაზება ამ საკითხების გადასაჭრელად ერთი ფანჯრის პრინციპის ფარგლებში, რომელიც განაპირობებს საკითხის სრულ ინტეგრაციას და გაციფრულებას.

## მიმდინარე პროექტები:

### “მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში” (სხვადასხვა კომპონენტები)



## GREEN CLIMATE FUND

**დონორი:** კლიმატის მწვანე ფონდი (GCF)

**ხანგრძლივობა:** თებერვალი, 2019 წ. - აპრილი, 2027 წ.

**განმახორციელებელი:** გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

პროექტის ძირითადი მიზანია დაიცვას საქართველოს მოსახლეობა, საარსებო საშუალებები და ინფრასტრუქტურა კლიმატით გამოწვეული კატასტროფებისაგან კარგად ფუნქციონირებადი, ეროვნული მასშტაბის მქონე მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის და რისკებზე ინფორმირებული ადგილობრივი ქმედებების მეშვეობით. ამას პროექტი მიაღწევს რამდენიმე ისეთი ინიციატივის მთელი ქვეყნის მასშტაბით გაფართოება-გავრცობით, როგორცაა, მაგალითად, მდინარე რიონის აუზის წყალდიდობის პროგნოზირებისა და ადრეული გაფრთხილების სისტემა (FFEWS).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ძლიერი სატელეკომუნიკაციო/საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც სააგენტოს მისცემს მაღალი სიზუსტის ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატის პროგნოზირების ინფორმაციის წარმოების შესაძლებლობას. ეს ხელს შეუწყობს პროექტის მთავარი მიზნის - „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის ჩამოყალიბება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ მიღწევას.

### „ევროპული საზღვაო დაკვირვებებისა და მონაცემების ქსელი - ქიმია“ (“European Marine Observation and Data Network (EMODnet) – Chemistry)



**Funded by  
the European Union**

**დონორი:** ევროკავშირი

**განმახორციელებელი:** იტალიის ოკეანოგრაფიისა და ექსპერიმენტული გეოფიზიკის ეროვნულ ინსტიტუტი (OGS) კონსორციუმის ლიდერი ორგანიზაცია; საკონსულტაციო ფორუმის წევრი მრჩეველის სტატუსით - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

- შავი ზღვის საქართველოს აკვატორიის სხვადასხვა წლების ქიმიური მონიტორინგის მონაცემების ელექტრონულ ფორმატში შედგენა;
- მონაცემების დამუშავება (ხარისხის შეფასება/ხარისხის კონტროლის პროცედურების განხორციელება);
- ამ მონაცემების სპეციალურ ფორმატში (ODV (Ocean Data View)) გადაყვანა;
- მონაცემების EMODnet-ის პორტალზე განთავსება.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი „საქართველოში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა“ (Support to Environmental protection and fight against Climate Change in Georgia)



Funded by  
the European Union

**დონორი:** ევროკავშირი

**ხანგრძლივობა:** 6 ივნისი, 2022 წ. – 31 მაისი, 2025 წ.

**განმახორციელებელი:** საკონსულტაციო კომპანია NIRAS IC

სააგენტო ჩართულია პროექტის გარკვეულ კომპონენტებში, რომელთა განხორციელების შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები: ჰაერის დაბინძურების შემცირების შედეგად გაუმჯობესებულია მოსახლეობის ჯანმრთელობა; SEVESO-ს და BAT-ის სახელმძღვანელოების გამოყენების

შედეგად შემცირებულია ინდუსტრიული ემისიები; წყლის ობიექტების ნიტრატებით დაბინძურება დაწეულია ზღვრულ მნიშვნელობაზე დაბლა; მომზადებულია სახელმძღვანელო დოკუმენტი, თუ როგორ უნდა იყოს მხარდაჭერილი მდგრადი აკვაკულტურა.

„ევროკავშირი შავ ზღვაში გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის“ (EU4EMBLAS)



Funded by  
the European Union

**დონორი:** ევროკავშირი

**ხანგრძლივობა:** აპრილი, 2021 წ. - დეკემბერი, 2025 წ.

**განმახორციელებელი:** გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

პროექტის საერთო მიზანია შავი ზღვის გარემოს დაცვის გაუმჯობესება. ეს მოხდება საქართველოსა და უკრაინაში გარემოსდაცვითი მონიტორინგისთვის თანამედროვე სისტემების დანერგვის, შესაძლებლობების გაძლიერების, ევროკავშირის MSDF/WFD

დირექტივების შესაბამისად გარემოს სტატუსის შეფასებისა და შავ ზღვაში გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.

„თანამედროვე ანალიტიკური მეთოდების დაინსტალირება და დანერგვა ორგანული დამაბინძურებლების განსაზღვრისათვის წყლის ევროპული დირექტივების შესაბამისად“



**დონორი:** განვითარებისათვის სლოვაკეთის ოფიციალური დახმარება (Slovak ODA)

**ხანგრძლივობა:** სექტემბერი, 2023 წ. - ივნისი, 2025 წწ.

**განმახორციელებელი:** ბრატისლავაში სლოვაკეთის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი ბრატისლავაში (STUBA)

პროექტის მთავარი მიზანია სააგენტოში თანამედროვე ანალიტიკური მეთოდების დანერგვა იმ ორგანული დამაბინძურებელი ნაერთების განსაზღვრისთვის, რომლებიც მოთხოვნილია წყლის ევროპული დირექტივების მიხედვით, ამ მეთოდების ვალიდაცია და სააგენტოს პერსონალის გადამზადება მეთოდების გამოყენებაში; აგრეთვე მეთოდების მოდიფიკაცია წყლის ევროპულ კანონმდებლობაში შესაბამისი პარამეტრების ცვლილებების შემთხვევაში.

„სტანდარტიზებული სამეცნიერო კვლევა ბიმ ტრალით რაპანაზე საქართველოს სანაპირო წყლებში“



**დონორი:** გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

**ხანგრძლივობა:** სექტემბერი, 2023 წ. – აგვისტო, 2025 წ.

**განმახორციელებელი:** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ამ საქმიანობის მიზანია შავ ზღვაში რაპანის მოპოვების რეგიონული კვლევითი პროგრამის შესახებ GFCM/42/2018/9 რეკომენდაციის ხელშეწყობა შავი ზღვის საქართველოს წყლებში რაპანის ექსპერიმენტული კვლევის საშუალებით. საქართველოს სანაპირო წყლებში რაპანის სტანდარტიზებული ექსპერიმენტული კვლევების წარმოების ძირითადი ამოცანა იყო და არის თევზჭერის გარეშე მონაცემების შეგროვების ხელშეწყობა იმისთვის, რომ საქართველოსა და მთლიანად შავ ზღვაში დაფუძნდეს რაპანის რესურსების სათანადო მონიტორინგის სისტემა. ეს მონაცემები, სხვა ინფორმაციასთან ერთად, რომელიც შეგროვდება ეროვნულ დონეზე GFCM/42/2018/9 რეკომენდაციის ფარგლებში, ხელს შეუწყობს ეროვნული ხელისუფლებისთვის, შავი ზღვის სამუშაო ჯგუფისთვის და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიისთვის (GFCM) იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც საჭიროა მეთევზეობის მართვის სტრატეგიების დაგეგმვისთვის იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგ დოკუმენტებში: „FAO-ს პასუხისმგებლიანი მეთევზეობის ქცევის კოდექსი“ (CCRF), “ეკოსისტემური მიდგომა მეთევზეობისადმი“ (EAF) და „ლურჯი ზრდის ინიციატივა“ (BGI).

„ინოვაციური ერთობლივი სწავლება შავი ზღვის აუზის თემების ეკოლოგიურად ქცევისთვის“  
(LEARN4SEA)



**დონორი:** ევროკავშირი ((Interreg VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის პროგრამა)

**განმახორციელებელი:** 4 ქვეყნის (რუმინეთი, ბულგარეთი, საქართველო, თურქეთი) 5 ორგანიზაციის (მათ შორის გარემოს ეროვნული სააგენტო) პარტნიორობა

**დაწყების-დასრულების თარიღები:** ივნისი, 2024 წ. - აგვისტო, 2026 წ.

პროექტის საერთო მიზანია უფრო მეტი მოქალაქის გარემოსადმი მეგობრული ქცევის გაუმჯობესება ადგილობრივი გადაწყვეტის გზებით, რომელიც მიმართულია ადგილობრივი ადმინისტრაციების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე და სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე ქმედებების განხორციელების მეშვეობით ცნობიერების ამაღლებასა და დაბინძურების შემცირებაზე შავი ზღვის აუზის რეგიონში.

"შავი ზღვის საზღვაო გარემოს ეკოლოგიური შედეგების ჭკვიანი სისტემა" (BS-SEOS)



**დონორი:** ევროკავშირი ((Interreg VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის პროგრამა)

**განმახორციელებელი:** 3 ქვეყნის (თურქეთი, რუმინეთი, საქართველო) 4 ორგანიზაციის პარტნიორობა (მათ შორის გარემოს ეროვნული სააგენტო)

**დაწყების-დასრულების თარიღები:** ოქტომბერი, 2024 წ. - მარტი, 2027 წ.

BS-SEOS პროექტი მიზნად ისახავს კომუნიკაციის სტანდარტიზებული საშუალებების მიღებას იმ მონაცემთა ბაზებისთვის, რომელშიც გროვდება გარემოსდაცვითი და მსგავსი მონაცემები "ონლაინ" მობილური სადგურებიდან ("ჭკვიანი" ტივტივები და წყლის ზედაპირზე მოძრავი ავტონომიური სატრანსპორტო საშუალებები (ASVs)) და სხვა ეროვნული/ევროპული მონაცემთა ბაზებიდან, რათა პარტნიორ ორგანიზაციებს და სხვა ორგანიზაციებს ჰქონდეთ საკუთარი ეკოლოგიური მოდელების გამშვებისა და შედეგების გაზიარების საშუალება.

"წყალი და ჯანმრთელობა საქართველოსთვის"



Funded by  
the European Union

**დონორი:** ევროკავშირი

**განმახორციელებელი:** UBA, OIE, AF

**დაწყების-დასრულების თარიღები:** სექტემბერი, 2024 წ.- ივნისი, 2027 წ.

პროექტის მიზანია წყლის ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში და ამით გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ჯანდაცვის პრობლემების გადაწყვეტა. მონიტორინგული მონაცემების გაუმჯობესება მიიღწევა მონიტორინგული ქსელის გაფართოებით, მონიტორინგული შესაძლებლობების გაძლიერებითა და მონაცემთა მართვის გაუმჯობესებით ისევე, როგორც ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სექტორების შესაძლებლობების გაძლიერებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

### "ჰაერის ხარისხი მოქალაქის უკეთესი ჯანმრთელობისათვის"



**Funded by  
the European Union**

**დონორი:** ევროკავშირი

**განმახორციელებელი:** UBA, OIE, AF

**დაწყების-დასრულების თარიღები:** სექტემბერი, 2024 წ. - ივნისი, 2027 წ.

პროექტის მიზანია წყლის ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში და ამით გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ჯანდაცვის პრობლემების გადაწყვეტა. მონიტორინგული მონაცემების გაუმჯობესება მიიღწევა მონიტორინგული ქსელის გაფართოებით, მონიტორინგული შესაძლებლობების გაძლიერებითა და მონაცემთა მართვის გაუმჯობესებით ისევე, როგორც ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სექტორების შესაძლებლობების გაძლიერებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

"ევროკავშირის მწვანე დაკავშირებადობა: ჰაერის ხარისხის ინსტრუმენტებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ემისიების სტანდარტების გაუმჯობესება საქართველოში მოქალაქეების ჯანმრთელობის უკეთ დაცვისთვის"



**Funded by  
the European Union**

**დონორი:** ევროკავშირი

**განმახორციელებელი:** FIIAPP, SAIDC

**დაწყების-დასრულების თარიღები:** 1 ოქტომბერი, 2024 წ. – 31 მარტი, 2027 წ.

პროექტის მიზანია საქართველოში ჰაერის ხარისხის გაზომვის ტექნიკური ინსტრუმენტების გაუმჯობესება; სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვის შესახებ ეროვნული რეგულაციების აღსრულების გაუმჯობესება.



ტექნიკური დახმარების პროექტი "საქართველო: კატასტროფების რისკის შემცირების მხარდაჭერა ჰიდრომეტეოროლოგიური, კლიმატური და ადრეული გაფრთხილების შესაძლებლობებისა და სერვისების გაძლიერების გზით (TF0C2431)"



**დონორი:** მსოფლიო ბანკი

**განმახორციელებელი:** მსოფლიო ბანკი

**დაწყების-დასრულების თარიღები:** 2023 – 2025 წ.წ

გრანტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას: გააძლიეროს მისი ჰიდრომეტეოროლოგიური, კლიმატური და ადრეული გაფრთხილების შესაძლებლობები და სერვისები და გააუმჯობესოს ადგილობრივი დონის მზადყოფნის შესაძლებლობები.

მიზნები მიღწეული იქნება სტრატეგიული გეგმებისა და ინიციატივების შემუშავებით ბუნებრივი საფრთხეებისადმი მდგრადობის გაუმჯობესებაში ჩართული უწყებების ოპერატიული მედეგობის გასაძლიერებლად და უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და საჯარო-კერძო-აკადემიური ჩართულობის შესაძლებლობების გაუმჯობესებით.

### საჯარო ინფორმაცია

2024 წლის განმავლობაში სააგენტოში მიმდინარე სიახლეების შესახებ მომზადდა და სააგენტოს ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე განთავსდა 68 რელიზი და განცხადება.

2024 წლის განმავლობაში სააგენტოში მიმდინარე სიახლეები სატელევიზიო ეთერით გაშუქდა 103-ჯერ, მათ შორის იყო დაგეგმილი სიუჟეტები და ჩართვები. ასევე, გაზეთი რეზონანსისთვის მომზადდა 2, ხოლო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაზეთისთვის 11 სტატია.

მომზადდა და სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე განთავსდა 3 ვიდეო რგოლი სააგენტოს საქმიანობის შესახებ.

სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მომართა 286 განმცხადებელმა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეაგირება განხორციელდა ყველა მოთხოვნაზე. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სრულად დაკმაყოფილდა 271, ხოლო არ დაკმაყოფილდა 4 განცხადება, რის გამოც შემოტანილი იქნა საჩივარი და ინფორმაცია გაიცა სრულად. დამუშავების პროცესშია 11 განცხადება.